ინტერაქტიული მეთოდების გამოყენება ქორეოგრაფიული დისციპლინების შესწავლისას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

სტუდენტების შემოქმედებითი პოტენციალის აღმოჩენისა და განვითარებისთვის პირობების შესაქმნელად, ქორეოგრაფიაში სტაბილური დადებითი მოტივაციის ჩამოყალიბებისა და თანამედროვე პრაქტიკის მაღალი შემოქმედებითი შედეგების მისაღწევად, გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, ტრადიციული და ინოვაციური მეთოდები.

ინოვაციური მეთოდები მოიცავს თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენებას ლიდერობისა და დიალოგის უნარ-ჩვევების, შემოქმედებითი საქმიანობის პედაგოგიური ასპექტების, გუნდში ინტერპერსონალური კომუნიკაციის, გუნდური შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის პროცესში ინტეგრაციის, ქორეოგრაფიის საშუალებით მხატვრული გარემოს შექმნის უნარების განვითარებაზე. ქორეოგრაფიული დისციპლინების სწავლების ინოვაციური გამოცდილება წარმოადგენს საცეკვაო კომბინაციების შესწავლის მრავალფეროვან გზას, რომელიც ეფუძნება სტუდენტების საცეკვაო შესაძლებლობების განვითარებას "მარტივიდან და რთულისაკენ" ტექნიკით.

ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში იან ამოს კომენიუსი (კომენსკი) დიდაქტიკის პირველ და უკანასკნელ მიზნად მიიჩნევდა, ეპოვა და მასწავლებლამდე მიეტანა სწავლების ისეთი ხერხები/მეთოდები, რომელთა დახმარებითაც მოსწავლე მასწავლებლის ნაკლები ჩარევით მეტს ისწავლიდა და სკოლაც უწინდებურად მოსაწყენი აღარ მოეჩვენებოდა. ამის მისაღწევად კომენიუსი მოითხოვდა დიდაქტიკური აზროვნების შეცვლას, რაც იმას გულისხმობდა, რომ მხოლოდ სწავლების შინაარსი კი არ უნდა ყოფილიყო მასწავლებლის ყურადღების ცენტრში, არამედ იმ ხერხების/მეთოდების ძიება და პოვნაც, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლეები უფრო ადვილად და მეტი ხალისით აითვისებდნენ შინაარსს.

მას შემდეგ, რაც კომენიუსმა ეს დიდაქტიკური პრინციპი გამოთქვა, სამ საუკუნეზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში შემუშავდა, გამოიცადა და პრაქტიკაში დაინერგა უამრავი სასწავლო მეთოდი. ამ მეთოდების ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ადეკვატურად შევარჩევთ მათ.

რა არის სწავლების მეთოდი და როგორ შევარჩიოთ იგი?

ცნება „მეთოდი“ სხვადასხვა ვითარებაში სხვადასხვაგვარად აღიქმება, მაგრამ ნებისმიერ ვითარებაში გულისხმობს მიზნის მისაღწევ გზებს.

სწავლების მეთოდი არის მასწავლებლის მიზანმიმართული ქმედება მოსწავლეებში შესაბამისი კომპეტენციის განსავითარებლად.

სწავლების მეთოდის შერჩევისას მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს გაკვეთილის მიზანი და სავარაუდო შედეგი – რა უნდა იცოდეს და რას გააკეთებს?

სწორედ შედეგზეა დამოკიდებული როგორც კურსის შინაარსი, ასევე სწავლების მეთოდებიც.

მეთოდის შერჩევისას უნდა დავფიქრდეთ: დაგვეხმარება თუ არა ჩვენ მიერ შერჩეული მეთოდი დასახული შედეგის მიღწევაში; შეესაბამება თუ არა ჩვენ მიერ შერჩეული მეთოდი აქტივობას; შეესაბამება თუ არა ჩვენ მიერ შერჩეული მეთოდი მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და გამოცდილებას; ტექნიკურად შესაძლებელია თუ არა მისი განხორციელება (ხელმისაწვდომია თუ არა რესურსები; გვეყოფა თუ არა დრო, შესაძლებელია თუ არა ამ რაოდენობის მოსწავლით მეთოდის ეფექტიანად განხორციელება).

უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში ლექტორსა და სტუდენტს შორის ჩამოყალიბდა და ფართოდ გამოიყენება ურთიერთდამოკიდებულების სამი ფორმა, რომელიც შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

1) პასიური მეთოდები;

2) აქტიური მეთოდები;

3) ინტერაქტიული მეთოდები.

თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი მახასიათებლები.

1. **პასიური მეთოდი** (სქემა. 1) არის ლექტორისა და სტუდენტის ისეთი ურთიერთობის ფორმა, რომელშიც ლექტორი პროცესის ძირითადი წარმმართველია, ხოლო სტუდენტი პასიური მსმენელი, რომელიც ლექტორის დირექტივებს ასრულებს. კომუნიკაცია ლექტორსა და სტუდენტებს შორის მყარდება შეკითხვების, დამოუკიდებელი სამუშაოების, ტესტირებების საშუალებით. სწავლების თანამედროვე მეთოდოლიის თვალსაზრისით ეს ფორმა არაეფექტურია, მიუხედავად ამისა, მას აქვს გარკვეული უპირატესობები: ლექტორი უფრო ადვილად ემზადება სასწავლო მასალისათვის და პროცესისი მცირე მონაკვეთში დიდი მოცულობის ინფორმაციის და სასწავლო მასალის გადაცემა შეუძლია სტუდენტებისათვის.
   სქემატურად ეს შეიძლება ასე გამოვსახოთ:



სქემა 1.

2. **აქტიური მეთოდი** (სქემა. 2) არის სტუდენტებსა და ლექტორს შორის ურთიერთობის ფორმა, რომელშიც სტუდენტები არ არიან პასიური მსმენელები, არამედ აქტიური სასწავლო პროცესის მონაწილეები, სტუდენტები და ლექტორები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ. თუ პასიურ მეთოდებს განიხილავენ, როგორც ურთიერთქმედების ავტორიტარულ სტილს, მაშინ აქტიური მეთოდი უფრო დემოკრატიულ სტილს გულისხმობს.
   ბევრი მეთოდისტი აქტიურ და ინტერაქტიულ მეთოდებიში ტოლობის ნიშანს სვამს, თუმცა მსგავსების მიუხედავად, ისინი განსხვდებიან ერთმანეთისაგან. ინტერაქტიული მეთოდები შეიძლება ჩაითვალოს სწავლების აქტიური მეთოდების ყველაზე თანამედროვე ფორმად.



სქემა 2.

3. **ინტერაქტიული მეთოდი.** ინტერაქტიული ("ინტერ" ურთიერთ, "აქტი" ქმედება) (სქემა 3) ნიშნავს ურთიერთქმედებას, საუბრის რეჟიმში, დიალოგს ვინმესთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქტიური მეთოდებისგან განსხვავებით, ინტერაქტიული მეთოდი ფართო ურთიერთქმედებისკენ არის ორიენტირებული არა მარტო ლექტორსა და სტუდენტს, არამედ სტუდენტებს შორის ინტერაქციასაც გულისხმობს. ლექტორის ფუნქცია და ადგილი ამ მეთოდის დროს დაიყვანება ლექციაზე თუ პრაქტიკული მუშაობის სტუდენტების საქმიანობის წარმართვაზე მოცემული მიზნის მისაღწევად. ლექტორი შეიმუშავებს მოქმედების გეგმას (ჩვეულებრივ, ეს არის ინტერაქტიული სავარჯიშოები და ამოცანები, რომელთა შესრულების დროს სტუდენტი ითვისებს მასალას).



სქემა 3.

ინტერაქტიული სწავლება- შემეცნებითი საქმიანობის ორგანიზების სპეციალური ფორმაა. ეს გულისხმობს ძალიან კონკრეტულ და პროგნოზირებად მიზნებს. ინტერაქციის მიზანია, შეიქმნას კომფორტული სასწავლო გარემო, რომელშიც სტუდენტი ან მსმენელი იგრძნობს საკუთარ წარმატებას, ინტელექტუალურ სიცოცხლისუნარიანობას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის პროდუქტიულობას, ცოდნის მიღებას, უნარების გამომუშავებას და სწავლების დასრულების შემდეგ, მუშაობის დროს, პრობლემის გადაწყვეტის საფუძველის შექმნას.

ინტერაქტიული მიდგომა არის სტუდენტების საქმიანობის განსაზღვრული ტიპი, რომელიც გულისხმობს მასალის შესწავლას ინტერაქტიულ პროცესში. ინტერაქტიული მიდგომების ხერხემალი არის ინტერაქტიული სავარჯიშოები და ამოცანები, რომლებსაც ასრულებენ სტუდენტები. ძირითადი განსხვავება ჩვეულებრივსა და ინტერაქტიულ სავარჯიშოებსა და ამოცანებს შორის არის ის, რომ ისინი მიზნად ისახავდნენ არა მხოლოდ და არა იმდენად, უკვე შესწავლილი მასალის კონსოლიდირებას, არამედ ახალი მასალის შესწავლასაც.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინტერაქტიული სწავლება, უპირველეს ყოვლისა, დიალოგია, ლექტორსა და სტუდენტს და სტუდენტებს შორის.

სწავლების ინტერაქტიული ფორმების ამოცანებია:

- სტუდენტების ინტერესის გაღვივება;
- სასწავლო მასალის ეფექტური ათვისება;
- დასახული ამოცანის გადასაჭრელად სტუდენტის მიერ დამოუკიდებელი გზებისა და ვარიანტების ძიება. (შემოთავაზებული ერთ-ერთი ვარიანტის შერჩევა ან საკუთარი არჩევანის ძიება და მისი დასაბუთება);
- სტუდენტებს შორის ურთიერთობის დამკვიდრება, გუნდში მუშაობის სწავლა, ნებისმიერი თვალსაზრისის გათვალისწინება: ტოლერანტული, სიტყვის თავისუფლების პატივისცემა, ღირსების პატივისცემა;
- სტუდენტთა მოსაზრებების და დამოკიდებულებების ჩამოყალიბება;
- სასიცოცხლო და პროფესიული უნარების ჩამოყალიბება;
- სტუდენტის გააზრებულ კომპეტენციაზე გასვლა.

ინტერაქტიული ფორმების გამოყენებისას ლექტორის როლი მკვეთრად იცვლება, იგი ცენტრალიზებულია, ის მხოლოდ არეგულირებს ორგანიზაციას უკეთებს პროცესს, წინასწარ არჩევს ამოცანებს, ადგენს კითხვებს და თემებს დისკუსიისთვის, აძლევს რჩევას, აკონტროლებს დროსა და დავალებათა შესრულების თანმიმდევრულობას. მონაწილეები მიმართავენ სოციალურ გამოცდილებას - საკუთარსა და სხვების, ამისთვის მათ უწევთ ერთმანეთთან კომუნიკაცია, ამოცანების ერთობლივად გადაწყვეტა, კონფლიქტების მოსაგვარება, საერთო შეხედულებების მოძებნა და კომპრომისზე წასვლა..

ინტერაქტიული სწავლების მეთოდების უპირატესობა შემდეგია:

- სტუდენტების საჭიროების გათვალისწინება;

- საზოგადოების განვითარების ტენდენციების გათვალისწინება;
- ორგანიზაციის განვითარების ტენდენციების გათვალისწინება;
- სწავლა/ სწავლების მეთოდების განვითარების ტენდენციების განხილვა;
- სტუდენტების პირადი მახასიათებლების გათვალისწინება (ტვინის მარცხენა და მარჯვენა ნახევარსფეროები).

ინტერაქტიული სწავლების მეთოდების სასწავლო პროცესში გამოყენება, გულისხმობს ჯგუფის ყველა სტუდენტის ჩართულობას სამუშაო პროცესში. ერთობლივი საქმიანობა ნიშნავს იმას, რომ ყველას საკუთარი ინდივიდუალური წვლილი შეაქვს მუშაობაში ცოდნის, იდეების, საქმიანობის ხერხების გაცვლაში. ორგანიზებულია ინდივიდუალური, წყვილური და ჯგუფური საპროექტო სამუშაოები, როლური თამაშების გამოყენება, ლიტერატურასთან და ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებთან მუშაობა. ინტერაქტიული მეთოდები ეფუძნება ურთიერთქმედების პრინციპებს, სტუდენტთა აქტიურობას ჯგუფური მუშაობის საშუალებით და უკუქმედებას. იქმნება ისეთი საგანმანათლებლო-საკომუნიკაციო გარემო, რომელიც ხასიათდება მონაწილეთა შორის ღიაობის, ურთიერთქმედების, მათი არგუმენტების თანასწორობის, საერთო ცოდნის დაგროვების, ორმხრივი შეფასებისა და კონტროლის შესაძლებლობი.

ლექტორი, როგორც სასწავლო პროცესის წამყვანი, ახალი ცოდნის მიღების გარდა, სრუდენტებს ასწავლის დამოუკიდებელ ძიებას. ლექტორის აქტიურობა ადგილს უთმობს სტუდენტის აქტიურობას, მისი ამოცანაა სტუდენტებისათვის ინიციატივის პირობების შექმნა. ლექტორი უარს ამბობს ფილტრის როლზე, რომელიც საკუთარ თავში ატარებს საგანმანათლებლო ინფორმაციას, და ასრულებს ასისტენტის, ერთ-ერთი საინფორმაციო წყაროს, როლს. აქედან გამომდინარე, ინტერაქტიული სწავლება თავიდანვე მიზნად ისახავს ინტენსიურ სწავლებაში ზრდასრული ასაკის მსმენელებთან მუშაობას.

ჩემი დღევანდელი გამოსვლის მთავარი თემაა: ინტერაქტიული მეთოდების გამოყენება ქორეოგრაფიული დისციპლინების შესწავლისას. ინტერაქტიულ მეთოდებს მომავლის სახელოსნოსაც უწოდებენ. თანამედროვე პედაგოგიური განათლების ძირითადი მიზანია მომავალი მასწავლებლის პირადი განვითარებისა და შემოქმედებითი თვითრეალიზაციის პირობების შექმნა. დღევანდელი საგანმანათლებლო პოლიტიკის სტრატეგიაში დომინანტურ როლს ასრულებს პედაგოგიური მეცნიერების და პრაქტიკის რეფორმირება, რომელშიც პრიორიტეტულია მომავალი მასწავლებლის შემოქმედებითი პოტენციალის ჩამოყალიბება. ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის რეალიცაცია კონკრეტულ ფუნდამენტურ საქმიანობაში ვლინდება. კერძოდ, პიროვნების, პოტენციური შესაძლებლობების თვისებების ჩამოყალიბება, ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის განვითარება, ეფუძნება განსაზღვრული ინსტრუმენტების შერწყმას ადამიანის ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ ფუნდამენტურ ცვლილებებში, რომლის საშალებითაც გამოვლინდება ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის მაქსიმუმი.

ხალხური ცეკვას, თავისის ისტორიული განვითარების მანძილზე, ყოველთვის განსაკუთრებული ფუნქცია ენიჭებოდა პიროვნების სასწავლო -აღმზრდელობით განვითარების საქმეში. ის თავის არსენალში ფლობს საკმარის მასალას მომავალი ქორეოგრაფ-პედაგოგის შემოქმედებითი პოტენციალის ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური განვითარებისა და ჩამოყალიბებისათვის.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში „ქართული ცეკვის თეორიისა და მეთოდიკის“ სწავლების სისტემა მიმართულია სასწავლო პროცესში სტუდენტ-ქორეოგრაფისათვის აუცილებელი ფუნდამენტური ცოდნის მიცემასა და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. მაგრამ სწავლების ძირითადი ამოცანაა მომავალი მასწავლებლის მომზადება შემოქმედებითი საქმიანობისათვის. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ამ

დისციპლინის სწავლებისას სასწავლო პროცესში შეძენილი სტუდენტის შემოქმედებითი რეზერვების განვითარება და ჩამოყალიბება.

ინტერაქტიული სწავლება შემეცნებითი საქმიანობის ორგანიზების სპეციალური ფორმაა, რომელსაც აქვს კონკრეტული დანიშნულება - შეიქმნას კომფორტული სწავლის პირობები, რომელშიც ყველა აღწევს საკუთარ წარმატებას და ინტელექტუალური უნარების გამოვლინებას.

ხალხური ცეკვების შესწავლის პროცესში ინტერაქტიული ტექნოლოგიები სტუდენტებსა და პედაგოგებს აჩვენებს ახალ გზებსა და პერსპექტივებს შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებისათვის.

მაგალითისათვის შეიძლება განვიხილოთ:

თემა: „ქართული ფერხულები ფორმისა და შინაარსის მიხედვით“.

მოსალოდნელი შედეგები: ამ პროცესის შემდეგ სტუდენტებს:

- ეცოდინებათ ფერხულების დანიშნულება ქართულ ხალხურ საცეკვაო ხელოვნებაში;
- გაარჩევენ ფერხულებს ფორმისა და შინაარსის მოხედვით;
- შეძლებენ ააგონ სხვადასხვა სახის ფერხულები ქართული ცეკვის კუთხური თავისებურებების გათვალისწინებით;

მასალები და აპარატურა: მულტიმედიური პროექტორი, ფორტეპიანო, კომპიუტერი, ხმის გამაძლიერებლები;

დამხმარე პერსონალი: კონცერტმეისტერი ან მუსიკოს-აკომპანიატორები;

დასამუშავებელი მასალები: ქართული ფერხულების ძირითადი სვლები, ნოტები, სიტყვიერი მასლა, ისტორია და ტრადიციები;

პრაქტიკული მუშაობის ჩატარების საორიენტაციო გეგმა:

I. შესავალი (10-15 წთ);
1. ცოდნის აქტუალიზაცია;
2. სასწავლო საქმიანობის მოტივაცია;
3. გაკვეთილის თემის და იდეის გამოცხადება;

II. ძირითადი ნაწილი (50 წთ);
4. საჭირო ინფორმაციის სიწოდება;
5. ინტერაქტიული სავარჯიშოები. სიტუაციის როლების განაწილების ტექნოლოგია (როლური თამაშები);

III. თამაშის ნაწილი (15 წთ);
6. შეფასება;
7. შეჯამება;

პროცესის მსვლელობა

I. შესავალი ნაწილი

შესაძლებელია თემა დავიწყოთ ძირითადი ცოდნის აქტუალიზაციაზე, ვიყენებთ გონებრივი შტურმის მეთოდს ტექნოლოგიით „დაუმთავრებელი წინადადება“ . ვთქვათ, პედაგოგი იწყებს წინადადებას „ქართული ცეკვის უძველეს და უმარტივეს ფორმას წარმოადგენს ....“ და რამდენიმე წუთის განმავლობაში სტუდენტები გამოთქვამენ აზრს ამ თემის ირგვლივ.

შეაჯამებს რა პედაგოგი სტუდენტების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს გადადის სასწავლო საქმიანობის მოტივაციაზე.

ის უჩვენებს სტუდენტებს სხვადასხვა ფოლკლორული ანსამბლების მიერ შესრულებული ფერხულების ვიდეო მასალებს.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ სტუდენტ-ქორეოგრაფების საქმიანობაში მოტივაციის აქტუალური საშუალებს შორის მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება. მულტიმედიური საშუალებების გამოყენება უზრუნველოფს განათლების

ჰუმანიზაციას, მნიშვნელობას ანიჭებს სხვადასხვა პიროვნულ თვისებების გამოვლინებას და წარმოადგენს მოტივაციის ელემენტს სასწავლო პროცესში სტუდენტ-ქორეოგრაფის პიროვნული და შემოქმედებითი უნარების განვითარებისა და ჩამოყალიბებისათვის.

წინასწარ მომზადებული მასალის ვიდეოჩვენების შემდეგ პედაგოგი აცხადებს გაკვეთილის თემას და მიზნებს.

თემა: „რიტუალური ფერხულები ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში“

მიზანი: სტუდენტებმა უნდა შეისწავლონ რიტუალური ფერხულები კუთხური თავისებურებების გათვალისწინებით;

II. გაკვეთილის ძირითადი ნაწილი. აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება.

აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება და განხორციელება ხდება "ჯგუფური მუშაობის" ტექნოლოგიით. პედაგოგი ყოფს სტუდენტებს სამ ჯგუფად და თითოეულ ჯგუფს უნაწილებს მის მიერ მომზადებული ფერხულის ტექსტურ ნაწილს. შემდეგ ჯგუფის მიერ არჩეული ლიდერი კითხულობს კონკრეტული ჯგუფისთვის განკუთვნილ ტექსტურ ფრაგმენტს. დარწმუნდება რა პედაგოგი სტუდენტების მზაობაში, ის აძლევს მათ დავალებებს.

პირველ ჯგუფს - ტექსტური ფრაგმენტის ყოველი წინადადებისათვის შეკითხვის მომზადება;

მეორე ჯგუფს - შექმნან ტექსტურ ფრაგმენტში არსებული მოვლენების ნახაზი;

მესამე ჯგუფს - მოამზადონ პანტომიმა ფრაგმენტის შინაარსის მიხედვით;

დავალებისთვის ტექსტი უნდა იყოს წარმოდგენილი სამ ნაწილად, დაახლოვებით, 15- 20 წინადადება. ის ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ შემოქმედებითი დავალების შესრულების საშუალებას იძლეოდეს.

10 წუთში ჯგუფები წარმოადგენენ დავალებების შედეგების პრეზენტაციებს.

პირველი ჯგუფის სტუდენტები მათ მიერ მომზადებულ კითხვებს უსვამენ სხვა ჯგუფებს და შესაბამისად წარმოადგენენ საკუთარ პასუხებს. მეორე ჯგუფის სტუდენტები სთხოვენ პირველი და მესამე ჯგუფის სტუდენტებს სიტყვიერად გამოხატონ მათ მიერ წარმოდგენილი ნახაზი მისი მსვლელობის დეტალური კომენტარებით. ხოლო მესამე ჯგუფის წარმომადგენლები პანტომიმის და იმპროვიზაცის საშუალებით გადმოსცემენ მათი ჯგუფის ტექსტური ფრაგმენტის შინაარსს.

ჯგუფური მუშაობის დასასრულს, ყველა მონაწილე უზიარებს ერთმანეთს აზრებს მოცემული ტექნოლოგიის შესახებ და ცვლიან შთაბეჭდილებებს.

დავალების შემდეგი ეტაპია ინტერაქტიული სავარჯიშოები - როლების გათამაშება.

სავარჯიშოს მიზანია მასალის პრაქტიკული ათვისება, დასახული მიზნის მიღწევა.

ინსტრუქცია - პედაგოგი აცნობს სტუდენტებს სავარჯიშოების მიზნებსა და წესებს, მოქმედების თანმიმდევრობას და დროს შემოქმედებითი ამოცანის გადასაწყვეტად.

როლების განაწილება და ჯგუფებად დაყოფა - პედაგოგი ყოფს ჯგუფს ორ ნაწილად სხვადასხვა დავალებების შესასრულებლად.

დავალების შესრულება - პედაგოგს აქვს ორგანიზატორის და ასისტეტის ფუნქცია, ცდილობს მისცეს სტუდენტებს დამოუკიდებლად სწავლის და მუშაობის, ასევე ჯგუფში ერთმანეთთან კოლაბორაციის მაქსიმალური საშუალება.

შემოქმედებითი დავალების შედეგების პრეზენტაცია - პრაქტიკული ჩვენება;

საჭიროების შემთხვევაში პედაგოგის მეთოდური რეკომენდაციების გამოყენება.

I ჯგუფის დავალება.

პედაგოგი სთავაზობს სტუდენტებს, წინასწარ შესწავლილი, გავრცელებული საფერხულო ლექსიკური მასალის გამოყენებით, ააგონ ფერხული.

დავალების მოსამზადებელი ეტაპი: დაამუშაონ დარიგებული მასალები (მოცემული საცეკვაო ფიგურები და სანოტო მასალა), შეურჩიონ საცეკვაო ლექსიკა და მუსიკალური თანხლება, მოახდიდნონ სიმბოლური ტრანსფორმაცია, გადმოსცენ ნაციონალური კოლორიტი და შესრულების ხასიათი.

II ჯგუფის დავალება.

პედაგოგი სთავაზობს სტუდენტებს იმპროვიზაციული საცეკვაო მოძრაობების და ადრე ნასწავლი ქართული საცეკვაო ფოლკლორის ელემენტების გამოყენებით გაითამაშოს ნებისმიერი რიტუალის საცეკვაო ფრაგმენტი.

დავალების მოსამზადებელი ეტაპი: დაამუშაონ დარიგებული მასალები (საცეკვაო ლექსიკა, სანოტო მასალები და მოცემული სარიტუალო ზეიმის წესები), გაითვალისწინონ რიტუალის ტრადიციები, შეუსაბამონ მუსიკალური თანხლება, საცეკვაო ლექსიკა, მოახდინონ სიმბოლური ტრანსფორმაცია, გადმოსცენ ნაციონალური კოლორიტი და შესრულების ხასიათი.

III. გაკვეთილის შემაჯამებელი ნაწილი.

შეჯამება, გაკვეთილის შედეგების შეფასება (რეფლექსია).

გაკვეთილის შეჯამება ხდება მრგვალი მაგიდის პრონციპით დისკუსიის სახით. პედაგოგი სთავაზობს სტუდენტებს უპასუხონ შეკითხვებს.

მაგალითები შეკითხვებისათვის:

1. რა არის ფერხული?
2. ქართულ საცეკვაო ფოლკლორში არსებული როგორი ტიპის ფერსულები შევისწავლეთ?
3. რა განსხვავებაა რიტუალურ და საყოფაცხოვრებო ფერხულებს შორის?
4. რა მნიშვნელობა აქვს ხალხურ ადათ-წესებსა და ტრადიციებს რიტუალური (სიუჟეტური) ფერხულების აგებისათვის?
5. რა მიზნით ვასრულებთ მოცემულ დავალებებს?
6. რა სირთულეებს წააწყდით შემოქმედებითი დავალებების შესრულების დროს?
7. რა ისწავლეთ?
8. რა ემოციები გამოიწვია თქვენში შემოქმედებითი დავალებების შესრულებამ?
9. რისი შესწავლა გინდათ მომავალში?
10. მოგეწონათ თუ არა სამუშაო პროცესის შემოთავაზებული მეთოდი?
11. კონკრეტულად, რა მოგეწონათ შემოთავაზებულ სამუშაო პროცსში?

ამგვარად, ინტერაქტიული ტექნოლოგიებს ახასიათებს აქტიური სწავლების მოდელის ორგანიზაცია, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვუზნუნველყოთ საგანმანათლებლო პროცესის ოპტიმიზაცია შემოქმედებით დონეზე. მოცემულ საგაკვეთილო მოდელში, როგორც ხედავთ, გამოყენებულია „გონებრივი იერიშის“, „როლური თამაშების“ , „დისკუსიის“ მეთოდები, რომლებიც აძლევენ საშუალებას სტუდენტებს იაზროვნონ თავისუფლად და შემოქმედებითად. ყოველ მეთოდს, რა თქმა უნდა, აქვს შეფასების კრიტერიუმები. ეს კრიტერიუმები მაქსიმალურად ასახავს ყოველ დეტალს და იძლევა სტუდენტების მაქსიმალურად ობიექტურად შეფასების საშუალებას. შეფასების კრიტერიუმებიც თავიდანვე უნდა იყოს წარმოდგენილი, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ ინფორმაცია მათი საქმიანობის ნებისმიერი საფეხურის შეფასების შესახებ.

ხალხური ცეკვის გაკვეთილის ჩატარების ეს ფორმა ხელს უწყობს სტუდენტ-ქორეოგრაფის შემოქმედებითი საქმიანობის გააქტიურებას, შემოქმედებითი განვითარებისათვის არსებითი ფსიქიკური პროცესების განვითარებას. კერძოდ, შემოქმედებითი წარმოსახვის, ფანტაზიის, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების, ყურადღების, სიმბოლური და მოძრაობის მეხსიერების განვითარებას.

გარდა ამისა, ეს სასწავლო მეთოდები ასწავლის სტუდენტებს ჯგუფურ და გუნდურ მუშაობას, უვითარებს ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღების და საკუთარი თვალსაზრისის გამოხატვის შესაძლებლობების, შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლენის და განხორციელების, იდეების გენერირების, ორიგინალური და არაორდინალური მოქმედებების ვარიანტების მოძებნის უნარებს.

საგანმანათლებლო პროცესში ქართული ხალხური ცეკვის სწავლების ინტერაქტიული მეთოდების გამოყენება სტუდენტებს უვითარებს კომუნიკაციურ, პედაგოგიურ, შემოქმედებით უნარებს, უყალიბებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, პიროვნების მორალურ და ესთეთიკურ თვისებებს. ასევე, ქმნის პირობებს მუდმივი შემოქმედებითი ძიებისა საქმიანობისათვის და თანდათანობით ყალიბდება და მდიდრდება მომავალი პედაგოგ-ქორეოგრაფის პიროვნული პოტენციალი.

ინტერაქტიულ მეთოდებზე დაფუძნებული შემოქმედებითი საქმიანობის საფუძველია შემოქმედებითი თავისუფლება. პედაგოგი კი არ აქცევს ჩარჩოში სტუდენტებს, არამედ დასახული ამოცანების შესასრულებლად სთავაზობს შემოქმედებითი განვითარების მრავალფეროვან საშუალებებს. ხოლო შემოქმედებითი თავისუფლების ატმოსფერო, როგორც ცნობილია, განაპირობებს პიროვნების შემოქმედებით განვითარებას.

ამგვარად, ცეკვის სწავლების ინტერაქტიული მეთოდები, როგორც შემოქმედებითი პროცესების ათვისების, ცოდნისა და უნარების გადაცემის, ფორმა, სტუდენტ-ქორეოგრაფს ფართოდ უხსნის გზას და პერსპექტივას თვითრეალიზაციისათვის. მოიცავს დაგეგმილი სასწავლო პროცესის შედეგს, უზრუნველყოფს სტუდენტსა და პედაგოგს შორის აქტიური ურთიერთობის ჩამოყალიბებას, ურთიერთთანამშრომლობას და ერთობლის შემოქმედებას.

ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით პედაგოგი ხელს უწყობს შემოქმედებითი პიროვნების ჩამოყალიბებას, რომელსაც ექნება საფუძვლიანი ცოდნა და შეძლებს მის გამოყენებას პრაქტიკულ საქმიანობაში.

ინტერსქტიული სწავლება - ეს არის შემოქმედებითი განვითარების გზა, მომავალი პედაგოგის შემოქმედებითი პოტენციალის ჩამოყალიბების, შემოქმედებითი თვითდამკვიდრებისა და თვითრეალიზაციისათვის კომფორტული პირობების შექმნა.

აქვე მინდა შემოგთავაზოთ თანაშრომლობითი სწავლების ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდი ჯიგსოუს მეთოდი, რომელიც ძალიან ეფექტურია მოცულობითი თეორიული მასალის ერთ სემინარზე მაქსიმალური ეფექტურობით ასათვისებლად.

საჭიროა სხვადასხვა ინტერაქტიული ფორმების გამოყენება პრობლემის მოსაგვარებლად.

ინტერაქტიული მუშაობის პრინციპია:

- სასწავლო პროცესი არ არის ლექცია, არამედ ეს არის ერთობლივი მუშაობა;
- ყველა მონაწილე თანაბარია;
- თითოეულ მონაწილეს აქვს უფლება გამოთქვას საკუთარი აზრი ნებისმიერ საკითხზე;
- მონაწილეების არ მიმართავენ ინდივიდუალურ კრიტიკისას (მხოლოდ იდეა შეიძლებაიყოს კრიტიკის ობიექტი);
- ყველა საკითხი, რაზეც საუბარია სასწავლო პროცესში, არ არის მოქმედების გზამკვლევი, არამედ ინფორმაცია განხილვისათვის.

სემინარის დაგეგმვის მომზადების პრინციპებია:

1. ჯგუფი (წევრები);
2. წამყვანი (ები);
3. სივრცე;
4. საგანმანათლებლო ინსტრუმენტები;
5. სემინარის მიზნები, გეგმა და შინაარსი.

1. ჯგუფი:

- რაოდენობა 15-20 სტუდენტი;
- სტუდენტებს შორის ბალანსი (მონაცემების და შესაძლებლობების მიხედვით და სხვა);
- ნებაყოფლობითი მონაწილეობა;
- ინფორმაცია სემინარის თუ პრაქტიკული მუშაობის შესახებ;
- სასურველია არსებობდეს საერთო ინტერესი (საჭიროება);
- უფლება (წამყვანის) მონაწილეთა შერჩევაზე.

2. წამყვანები(ებ)ი, ლიდერები:

- გამოცდილება;
- ბალანსი;
- გარეგნული სახე;
- საერთო ინტერესები წამყვანის შერჩევისას.

3. სივრცე უნდა იყოს ადაპტირებული ჯგუფური მუშაობისთვის;

4. სწავლების ინსტრუმენტები:

- არასდროს არ არის ძალიან ბევრი;
- უნდა ოყოს ეფექტური;
- სემინარი უნდა შეესაბამებოდეს მიზნებს;
- ვიზუალური მასალები;
- სემინარს უნდა ჰქონდეს ფსიქოლოგიური ეფექტი.

5. სემინარის მიზნები, გეგმა და შინაარსი

სემინარის მიზნები:

- ვისთვის? (სამიზნე ჯგუფი);
- რა საჭიროებაა (ინტერესი)?
- რა შედეგზე გადის?

II. შიდა ლოგიკა:

სემინარის თითოეული თემატური სექცია უნდა იყოს დაფუძნებული წინაზე და წარმართოს მომდევნო ისე, რომ მიმართული იყოს საერთო მიზნის მისაღწევად.

III. სემინარის სტრუქტურა უნდა იყოს მოქნილი.

IV. უნდა არსებობდეს სარეზერვო მასალა/ მეთოდიკა.

ჯიგსოუს ტექნიკა განავითარეს და პრაქტიკაში გამოსცადეს არონსონმა და მისმა სტუდენტებმა მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში, ჯერ – ტეხასის, მერე კი კალიფორნიის უნივერსიტეტებში.

არონსონის მიხედვით, ჯიგსოუს ტექნიკა ხუთი ფაზისაგან შედგება:

- შესავალი; ცალკეული თემების/თემის ნაწილების დამუშავება ძირითადი/ჯიგსოუს ჯგუფების შიგნით;
- თემის ნაწილების გაღრმავება ექსპერტთა ჯგუფებში;
- თემის ნაწილთა გადაცემა ძირითად/ჯიგსოუს ჯგუფებში;
- თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური ცოდნის შემოწმება და შეფასება.

პირველი ფაზა: შესავალი

ამ ფაზაში ლექტორი მოკლედ მიმოიხილავს განსახილველ თემას და სტუდენტებს გააცნობს ჯიგსოუს ტექნიკას. შემდეგ იქმნება ძირითადი ჯგუფები. დაკომპლექტებისას გასათვალისწინებელია ბალანსის დაცვა უნარების და შესაძლებლობების მიხედვით, რაც სტუდენტებს ტოლერანტობის, თანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის გრძნობათა გამომუშავებაში ეხმარება. ამის შემდეგ ხდება ძირითადი ჯგუფებიდან ე.წ. ჯგუფის

ხელმძღვანელის არჩევა, რომელიც პასუხისმგებლია მუშაობის პერიოდში ჯგუფის მობილიზებაზე.

მეორე ფაზა: ცალკეული თემების/თემის ნაწილების დამუშავება

ძირითადი/ჯიგსოუს ჯგუფების შიგნით

ლექტორი დასამუშავებელ თემას წინასწარ ყოფს იმდენ ნაწილად, რამდენი წევრიც არის თითოეულ ძირითად/ჯიგსოუს ჯგუფში. თემის ნაწილები უნდა იყოს თანაბარი სირთულისა და მათ დამუშავებას უნდა სჭირდებოდეს ერთი და იგივე დრო.

თითოეული ძირითადი/ჯიგსოუს ჯგუფი ამუშავებს ერთსა და იმავე თემას. ჯგუფის თითოეულ წევრს ეძლევა თემის შესაბამისი ნაწილი, რომელსაც იგი დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად ამუშავებს.

მესამე ფაზა: თემის ნაწილების გაღრმავება ექსპერტთა ჯგუფებში

მას შემდეგ, რაც თითოეული სტუდენტი ინდივიდუალურად დაამუშავებს თემის შესაბამის ნაწილს, დგება ექსპერტთა ჯგუფები. სტუდენტები, რომელთაც დაამუშავეს ერთი და იგივე ნაწილი, ქმნიან ექსპერტთა ჯგუფებს დამუშავებული საკითხების გასაღრმავებლად და გაურკვეველი საკითხების გასარკვევად. კომპლექტდება იმდენი ექსპერტთა ჯგუფი, რამდენ ნაწილადაც იყო დაყოფილი თემა. ექსპერტთა ჯგუფების შიგნით სტუდენტები აჯერებენ ინდივიდუალურად მოპოვებულ ცოდნას და მსჯელობენ იმაზე, როგორ გადასცენ უკეთ მათ მიერ მოპოვებული ცოდნა ძირითადი/ჯიგსოუს ჯგუფის სხვა წევრებს.

მეოთხე ფაზა: თემის ნაწილთა გადაცემა ძირითად/ჯიგსოუს ჯგუფებში

მეოთხე ფაზაში სტუდენტები უბრუნდებიან თავიანთ ძირითად/ჯიგსოუს ჯგუფებს, რათა ჯგუფის დანარჩენ წევრებს გადასცენ თემის მათ მიერ დამუშავებული და შემდეგ ექსპერტთა ჯგუფებში გაღრმავებული ნაწილი. ცალკეულ ნაწილთა ერთმანეთისთვის გაცნობის შემდეგ სტუდენტები ამ ნაწილებს აერთიანებენ და დასამუშავებელ თემას ერთ მთლიანობად მოიაზრებენ.

მეხუთე ფაზა: თითოეული სტუდენტის ინდივიდუალური ცოდნის შემოწმება და შეფასება

დასკვნით, მეხუთე ფაზაში მოწმდება, რამდენად აითვისა თითოეულმა სტუდენტმა თემა. ჯგუფის საერთო წარმატების გაზომვას არონსონის მეთოდი არ ითვალისწინებს. იმართება დისკუსია, სადაც განიხილება ჩატარებული სამუშაოს შედეგები – რამდენად კარგად შესრულდა იგი, სად იჩინა თავი დაბრკოლებამ და რატომ, მომავალში როგორ შეიძლება უკეთესი შედეგის მიღება.

შეფასების კრიტერიუმები შეიძლება თავად ლექტორმა გამოიმუშავოს ჯგუფთან ერთად.

ეს მეთოდი ხელს უწყობს სხვადასხვა გონებრივი შესაძლებლობების სტუდენტთა ერთ ჯგუფში მუშაობას. მასალის ათვისებაში ერთმანეთის დახმარებას და ხელშეწყობას. კომუნიკაციისა და პრეზენტაციის, თანამშრომლობითი უნარების განვითარების ხელშეწყობას. მეტაკოგნიტური აზროვნების განვითარების ხელშეწყობას. ლიდერული უნარების, სწავლის, ექსპერტთა შორის ჯანსაღი კონკურენციის, თვითდაჯერებულობის და ცოდნის გადაცემის უნარების განვითარებას, რაც აუცილებელია მომავალი პედაგოგ-ქორეოგრაფისათვის წარმატებული საქმიანობის განსახორციელებლად.

ჯგუფებში მოსწავლეთა განაწილება უნდა მოხდეს შემდეგი სქემის მიხედვით

ძირითადი/ჯიგსოუს ჯგუფები:

1. A1, A2, A3, A4,
2. B1, B2, B3, B4,
3. C1, C2, C3, C4,
4. D1, D2, D3, D4,

ექსპერტთა ჯგუფები:

1. A1, B1, C1, D1,
2. A2, B2, C2, D2,
3. A3, B3, C3, D3,
4. A4, B4, C4, D4

ჯიგსოუ ორი რობერტ სლავინის მიხედვით

არონსონისგან განსხვავებით, რომელიც აქცენტს სტუდენტებში სოციალური უნარების განვითარებასა და ჯგუფთან ინტეგრაციაზე აკეთებს, სლავინი ჯიგსოუს ტექნიკის გამოყენების დროს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საგნობრივი კომპეტენციის განვითარებასაც.
ჯიგსოუს ამ ორ ტექნიკას შორის ძირითადი განსხვავება ასეთია:
ჯიგსოუ ერთისგან განსხვავებით, ჯისგოუ ორში ჯგუფის ხელმძღვანელი სტუდენტთ რიგებიდან არ სახელდება – მის ფუნქციას თავად იკისრებს ლექტორი;
ჯგუფის ყველა წევრს მთელ დასამუშავებელ მასალაზე მიუწვდება ხელი.
მესამე და მეოთხე ფაზა ისევე მიმდინარეობს, როგორც ჯიგსოუ ერთში. ძირითადი განსხვავება მეხუთე ფაზაშია.
მეთოდის ძლიერი მხარეები:
კვლევებმა ცხადყო, რომ ჯიგსოუს ტექნიკის გამოყენებისას სტუდენტები უკეთეს შედეგს იღებენ; მათ უმაღლდებათ საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, თვითორგანიზებისა და პასუხისმგებლობის უნარი; უვითარდებათ როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური ინტერესები; ჯგუფში, სადაც ამ მეთოდს იყენებენ, მაღლდება სტუდენტთა ურთიერთტოლერანტობა და ურთიერთპატივისცემა; მათ უვითარდებათ კომუნიკაციური უნარები, თვითშეფასებისა და საკუთარ პროგრესზე დაკვირვების უნარი.
მეთოდის სუსტი მხარეები: შედარებით „სუსტი“ სტუდენტებისათვის ერთგვარი წნეხია თემის ნაწილის დამოუკიდებლად დამუშავება. ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია წყვილში მუშაობით ან ლექტორის დახმარებით.
მეთოდის სუსტ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ მის გამოყენებას სჭირდება 20-30%-ით უფრო მეტი დრო, ვიდრე იმავე თემის ტრადიციული მეთოდით დამუშავებას. ექსპერტ სტუდენტთა მიერ ინფორმაციის სხვადასხვა ხარისხით მიწოდებამ (სტუდენტთა განსხვავებული შესაძლებლობების კვალობაზე) შესაძლოა საბოლოო შედეგებს ავნოს.
ჯიგსოუს ტექნიკა უნივერსალური მეთოდია, რომელიც შეიძლება თითქმის ყველა დისციპლინის პედაგოგმა სწავლების ყველა საფეხურზე გამოიყენოს. ახლა ამ მეთოდით მინდა წარმოგიდგინოთ თემა: „საცეკვაო ხელოვნების წარმოშობის ფაქტორები“
ჯგუფები ამუშავებენ საკითკის შემდეგ ქვესაკითხებს:

1. A1-B1-C1-D1- მოძრაობა და რიტმულობა, ადგილმდებარეობა და კლიმატური პირობები;
2. A2-B2-C2-D2- მუსიკალურობა და ემოციურობა, ეთნოტიპი და ყოფა;
3. A3-B3-C3-D3- მიმზაძველობა და შემოქმედებითი აზროვნება, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები;
4. A4-B4-C4-D4 - მისტიკური აზროვნება და რელიგიური პანთეონი.

ოთხივე ჯგუფში განაწილებულია ცეკვის წარმოშობის ფაქტორები. ყოველი სტუდენტი ამუშავებს მასზე მიცემულ თემას, თითოეულს უწევს ორი ფსიქო-ფიზიოლოგიური და ორი ეთნო-ფაქტორის კარგად გააზრება და დამუშავება (გარდა მეოთხისა, აქ თითო ფაქტორი უფრო მოცულობითია) შემდეგ ექსპერტთა ჯგუფი უფრო საფუძვლიანად დაამუშავებს თემას, უბრუნდება თავის ჯგუფს და საბოლოდ ხდება მთლიანად დამუშავებული თემის პრეზენტაცია.

დასკვნა

ამრიგად, საგანმანათლებლო პროცესში აქტიური მეთოდებისა და ფორმების ეფექტურ გამოყენებას ახალ ხარისხობრივ დონეზე აყავს სპეციალისტების პროფესიული მომზადების მეთოდოლოგიური სისტემა.

უნდა აღინიშნოს, რომ საუნივერსიტეტო პროგრამებში გამოყენებული ინტერაქტიული სწავლების მეთოდების ანალიზის შეჯამება სხვადასხვა დონეზე ზრდის შესაძლებლობების პრობლემების იდენტიფიცირებასა სწორად წარმართვაში, ინფორმაციის შეგროვებასა და

ანალიზში, საჭიროების შემთხვევაში, ალტერნატიული გადაწყვეტილებების მიღებას და ინდივიდუალური მუშაობის საუკეთესო არჩევანსა და ურთიერთთანამშრომლობაში.

ახალი შესაძლებლობები ხელს უწყობს პიროვნული და პროფესიული უნარების განვითარებას და ქმნის დიდ პოტენციალს ინოვაციური პროექტების განვითარებისთვის საგანმანათლებლო სფეროში. ამიტომ, სწავლების ეს მეთოდი უნდა დომინირებდეს შემოქმედებითი დისციპლინების შესწავლისას.

მირანდა ბაღდადიშვილი - პედაგოგ-ქორეოგრაფი,
აჭარის დამსახურებული არტისტი,
ბათუმის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

ლიტერატურა:

1. „ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში“მასწავლებლის წიგნი - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2016
2. ინტერაქტიული ტექნოლოგიები: თეორია და მეთოდოლოგია [ელექტრონული რესურსი] / Pometun O.I., Pobirchenko N.S., Kobernik G.I., Komar, O.A., Torchinska T.A. - კიევ-უმან, 2008. - 92 გვ. წვდომის რეჟიმი: http://dspace.udpu.org.ua:8080/jspui/bitstream/6789/377/1/interakt_tehn_teor_met.pf (თარიღი: 07/12/2013)
3. Е.М. Деева ПРИМЕНЕНИЕ СОВРЕМЕННЫХ ИНТЕРАКТИВНЫХ МЕТОДОВ ОБУЧЕНИЯ В ВУЗЕ – ПРАКТИКУМ -2015
4. ა. სამსონაძე „ქორეოგრაფიული ხელოვნება და მისი შესწავლის ძირითადი მიმართულებები“ -დისერტაცია თბილისი 2006.


ფაქტორები
ფსიქო-ფიზიოლოგიური
ეთნო
მოძრაობა
რიტმულობა
მუსიკალურობა
ემოციური
მიმზიდველობა
შემოქმედებითი აზროვნება
მისტიკური აზროვნება
ადგილმდებარეობა
კლიმატური პირობები
ეთნოტიპი
ყოფა
ტრადიციები
წეს-ჩვეულებები
რელიგიური პანთეონი